

ქართული

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვა ენებზე.

განცხადების ფასი

დიდი ასოებით, ასოზე—1 კაპ., ასო-მოთვრულით, სტრიქონზე—8 კაპ., ციცეროთი, სტრიქ.—5 კაპ., პეტიტით—4 კაპ.

მთ სპირიტუა მოითხოვს, რედაქცია ვაასწორებს და შემოკლებს გამოგზავნილ სტატიებსა. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

რედაქციაში
მოღონის (აბას-პატიის) მედონზე, შორღონის სახლებში.

ხელის-მოწერა

რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. შალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тяфлисѣ. Въ редакцію газеты „Дროება“.

გაზეთის ფასი

წელიწადში — 8 მან., ნახევარ წელიწადში — 4 მან. და 50 კაპ., თვეში—1 მან. ცალკე ნომერი—ერთი შური.

გამოდის კვირარაობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით

ნახევარი წლის ხელის-მოწერა

„დროებაზე“

შეიძლება: თშილისში, რედაქციის კანტორაში (ადრესი გაზეთის სათურში ნახეთ) და გარეშე შალაქში — „დროების“ აგენტებთან.

ფასი ნახევარი წლის გაზეთისა (ე. ი. 1 ივლისიდან ვიდრე 1876 წლის 1 იანვრამდე) გაგზავნილ და გაუგზავნელად—4 მან. და 50 კაპ.

საქართველო

პირუტყვზე მრუხნავი საზოგადოება

ერთს ფრანკულს გაზეთში სწორდენ ამას წინათ, რომ საფრანგეთის ერთი სასოფლო შკოლის მასწავლებელსა და იმის შაგირდებს ერთმანეთში პირობა დაუდგიათ, საზოგადოება დაუდგინათ იმ მიზნით, რომ გარეული ფრინველები არ მოეკლათ, იმათი ბუდეები არ გაფაფუქოთ.

შემდეგ ამ საზოგადოებას მთელი იმ სოფლის გარემო სოფლების მცხოვრებნი შეერთებინ და ამ ნაირად ტყის სასარგებლო ფრინველებს იქ კაცი ხელს ვერ ახლებს თურმე.

ისეთ ქალაქს ვერ ნახეთ, მგონი, მეროპაში, რომ პირუტყვებზე მზრუნველი საზოგადოება არ არსებობდეს. ამბობენ, ამისთანა საზოგადოება ამჟამად ჩვენს ქალაქშიაც სდგებაო.

რამდენიმე პირუტყვების ბედის გულ-შემატკივარი კაცი შეიყრებ, წესდებს შეადგენენ—თუ რა ღონისძიება უნდა მიიღონ, რომ ჩვენი ქალაქისა ან სოფლის პირუტყვები არ იტანჯებოდნენ, უკეთ იკვებებოდნენ და სხ., და მმართველობისაგან დამტკიცებული, ამგვარი წესდება ძალაში შევა.

შველა წერს ამ გვარი საზოგადოებისას უფლება აქვს, დაიჭიროს და სასამართლოში წაიყვანოს ის პირი, რომელიც ცუდად ეპყრობა თავის პირუტყვს, რომელიც მომეტებულის ცემით ან ტვირთით სტანჯავს და აფუტებს საქონელს. და სასამართლო სჯის იმათ.

მითქმის გასაკვირველი და გაუგებარია, გეთანხმებით, პირუტყვებზე მზრუნველი საზოგადოების შედგენა ჩვენს დროში, როდესაც თვით ადამიანი ხშირად უფრო დატანჯულია, თავისი ეკონომიური მდგომარეობისაგან უფრო ცუდს მდგომარეობაშია ვიდრემ ყოველი პირუტყვი.

მაგრამ მიიღეთ მხედველობაში, რომ ადამიანის გამოხსნა გაჭირვებისაგან უფრო ძნელია, უფრო თავის საქტრევი და რთული საქვა, ვიდრემ პირუტყვის შევლა ცუდის მოპყრობისაგან. აპასთანავე ესეც ცხელია, რომ პირუტყვების კარგათ მოპყრობასა და შენახვას თვითონ ხალხის მდგომარეობაზედაც დიდი გავლენა აქვს.

ამის გამო ნუ გაგვიკვირდებათ, თუ ჩვენ თანაგრძობით ვლაპარაკობთ ამგვარს საზოგადოებაზედა.

მისაც ჩვენ ხალხში უცხოვრნია, იმას ეცოდინება, რომ ხალხი თავის პირუტყვს საზოგადოათ ძალიან კარგათ ეპყრობა, რაც შეუძლიან უელის, ეფერება.

ბასაკვირველიც არ არის: ხშირად მთელი გლეხის ოჯახის ცხოვრება ერთს ძროხაზე ან ცხენზეა დამოკიდებული, რასაკვირველია, რომ ამისთანა ცხოველს მოეფერება.

მაშასადამე მომავალს ჩვენს პირუტყვების მზრუნველ საზოგადოებას ამ მხრით საზრუნველი არა ექნება. იმის დანიშნულებას და არსებობას მხოლოდ მაშინ გავიგებთ და დავაფასებთ, როდესაც, ჩვენი პირუტყვების სასარგებლოთ, ისინი ჩვენში ხეირიანი გზების გაყვანას ეცდებიან. მთ იტანჯება ჩვენი პირუტყვი, მხოლოდ უგზობის გამო. მცადოს საზოგადოება, რომ ცო-

ტათი რიგიანი საურზე და საცხენო გზა გაკეთდეს ჩვენს სოფლებში და სოფლებსა და ქალაქებს შუა, და მაშინ, მხოლოდ მაშინ შეუძლიან სთქვას, რომ უნამყოფოთ და უსარგებლოთ არ დაარსებულა.

თორემ დაიჭიროს რომელიმე საწყალი გლეხი, რომელიც სკემს თავის ხარკამხეს იმისთვის, რომ ვადაზე მიუტანოს ვაჭარს თუმნის სარგებლოდ თუმნის ჭირნახული, და მომრიგებელ სასამართლოში წათრიოს დაასჯულად, — ეს არაფერი ზრუნვა იქნება.

ს. მესხი

დღიური

ჩვენ შევიტყვეთ, რომ მუშების ბილეთების შეიჯარადაჩვენ საჩივრით მომზრებული ქალაქს გამგეობა ან სულ მოსპობას აპირებს ამ უსამართლო გადასახადისას და ან უფრო რიგიანს წესზე უნდა დაადგინოსო.

მთ ეს ხმა მართალია, ჩვენ მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლიან, რომ ქალაქის გამგეობამ იმ ვილაც თათარისაგან, რომელიც მტყუანსაც და მართალსაც აჭერინებს ქუჩებში და რომლის ავაზაკების მსგავსი კაცები მიათრევენ სადღაც კანტორაში და ან მანეთს ახდევინებენ, ან ქამარსა და ჩოხას ხდიან ხოლმე...

ფელტონი

ცნობანი ოსალოს საქართველოზე

IV

აქ მოგვეყვას იმ სოფლების სახელები, რომლითაც იმათ ქართულ ჩამომავლობას კიდევ უფრო ცხადათ დაინახეთ:

მობულეთის მაზრაში: შაქუთი, შახათი, ტყე-მაგარა, ხინო, — (აქ საეპისკოპოსოა; კარგი ეკლესია უფილა ხინო-წმინდელისა), ხუტუბანი — საყდარი თეთროსანი, შობულეთი, ციხისძირი — შაჯეთის ციხეს რომ ეძახიან, ღვევა, ზერაბოსელი და სხვანი.

ბათუმის მაზრაში: ბათუმი — (ქალაქი; ჩინებული ნავთსაყუდელი, — მუდრო ბოლაზია) ჩაქვი, — გოგირდის თბილი წყლები აქ და საყდრები დანგრეული, ტახაბერი, — ამას ახლავს დიდი ტყეები — და სხვანი.

შორჩხის მაზრაში: მარანდი, მაჭხელი, შორჩხა — აქაური მცხოვრებნი კარგი მენავენი არიან და კარგ მჭურჭლე და მაგურები.

ლივანის მაზრაში: მდინარის შორჩხის მარჯენი: არტინი — დიდი ქალაქი, შორჩხი ჩამოდის აქ და ბათუმამდის სანავეა, მპიზა, — აქ არის ძველი ეკლესია ივანე ნათლისმცემლისა, სოფლო. — აქ არის ძველი მონასტერი. ჩიპარევი, წყალთბილა, ბერტა, აქ საყდარია. ღოლისხანა. — აქ საყდარია; უფროძენი იცის ჩინებული, ტოლოგ, მგლეზე, მარაქლანი, მაზრია, სინქოთი. — აქ ვენახებია დაბალ ხეებზედა. ახალდაბა, ბაღინი, მიაოსკარი, შუახევი, ქლასკური, მთინგო, — აქ თბილი წყალია გოგირდისა. ტინცხურეთი, ზედობა, ხება, იდრიკა, ხინქანა, მონაური და სხვანი.

ლივანაშივე, ახლა გაღმა, შორჩხის მარცხენი: მრჯოლი, ცხრია, ბულჯანი, ნავეა, ხათილა, ნაღარევი, მამანა, ღამალი, ნ.ზინარი, ტაპარია, წითლისაგარა, შლო, სეკელიანა, ტანტრომი, ანჩი. — დიდი ეკლესია. — აქედან ამბობენ წამოსვენებულს პირიღეთისის ხატს, რომელიც მთილისში, ანჩხატში ასვენია. ხავთი, ხარავლი, შავგულა, მართხელი, არაბეთი, ახიზა, მუჯერი, ჩარა.

არდანუქის მაზრაში: არდანუჯი, — ქალაქი, ციხე და დიდი საყდა-

რი აქვს; შოა ახლავს — ქორსნია. შეთობანი, სამიწყალი, შერაშეთი, ნორგალი, ჩრდილი, პორტა, — აქ საყდარია, ხერთვისი *), ლანგოთისხევი, ხევა, ბულოშანი, ბულიჯე, მეცეკლი, შკოთი, არაშენი, — აქ საყდარია, ტანზოთი, — აქ საყდარია დიდი, ხატახორი, ღვიმისხანა, — იტყვიან: აქ გრცლის მადანს სთხრიდნო ძველათ, შინსხევა, მ.რტელია, ხემგროტი, ბაცა, მაცაღახეთი, იშქინარი, სახრე, ქლარჯეთი, მუნთია, ანკლია, ბიჭა, ანაკეთი, ანკუარა, მპისქალა და სხვანი.

შავეშეთის მაზრაში: შვირილა, ჯინალი, ცლობანი, მიქელეთი, ციხისძირი, — ქალაქი. ტბეთი, აქ დიდი ეკლესიაა. წითვეთი, მელი, შხელი, სათლე, — აქ ციხეა და დიდი მონასტერი. მქრობაგეთი, — აქ ორი დიდი ეკლესიაა. მუჩენი, რაბათი, ბკრია, წეშთა, — აქ დიდი ციხეა მთაზედა, ახალდაბა, — ფრიად დიდი სოფელი. — ღამაკეთილი, მორგელი, წიკლობანი, ციხია, აგარა, სულესი, შავშეთი, შაქქელი, სამქვედი, სოფლო, ბაღენა, ქოშლიეთი, ძვატეტრისი, მკრხნალი, ხანთუშეთი,

* ახალციხის უკლებში რომ ხერთვისია, იმაში ნუ არევთ.

ცეცხლაური, მორხოზი, ზენდაბა, სორცილი, იმერხევი, — ფრიად დიდი სოფელია, წეთილეთი, წყალიმერი, იმხრეული, ღობანი, ივეთი, სვირფანი, ჯვარისხევი, შხე, ღაბა, ხელწვრილი, ღვეაძე, ბაზარეთი, ზაკეთი, ბელთეთი, ჩინორი, ჩინისხევი, შხიკური და სხვანი.

მვედა აქარაში: მქედა, სალორეთი და სხვანი მრავალნი. ზედა-აქარაში: მრჯოლი, შვენა, ხულა, დიდაქარა, ნიგაზეული, მსხალტა, ბაკა, ხინოსძირი, ხირხათი და სხვანი.

ჯანეთში: ბონია, აბუსლა, მაკრილი, ხოფა, — ხოფის შემავალი სოფლები: ჩხალა, შადა, მშვილი და სხვანი. ტპისრა, არხავე, მიწე, ათონა, — ეს არის სამძვარი ძველი საქართველოსა და აქ არის ზღვის პირს ბურჯი, რკინის პალოთ წოდებული.

V

შნდა ესთქეა, რომ, რაც გვარები ჩამოვსთვალე, სულ თავად-აზნაურობის ჩამომავლობას ეკუთვნის და როგორც გვარების, უმეტეს სოფლების სახელწოდებანი ნახევარიც კიდევ არ ვიცი.

ამისთან, უადგილო არ იქნება

□ ქალაქში ლაპარაკობენ, რომ ქალაქიდან ბაქომდი რკინის გზის გაყვანა მთავრობამ შოთი-მთილისის რკინის გზის კამპანიას მიანდო.

„ქვეყნის“ უკანასკნელს ნომერში სწერენ, რომ, თუ ამ გზის გაყვანა შოთი-მთილისის კამპანიას მიენდო, ის პირ-და-პირ ბუქალის სტანციიდან უპირებს გზის გაყვანას და იქიდან მლაშე ტბებზე და შარაიზზე უნდა წაიყვანონ გზა; ასე რომ მთილისი განზე დარჩება.

პატივცემულ გავითს ერთი რამ დაეწიება: რომ გზის მიმართულების მიცემა კამპანიის საქმე არ არის, რომ გზის მიმართულება თვითონ მმართველობისაგან არის დამტკიცებული; კამპანია კი მხოლოდ მიცემულის პლანით გაიყვანს გზას...

□ ქვეყნის ნამესტნიკის მთავარ სამმართველო აცხადებს, რომ გეარდიის გარდამდგარ პოლკოვნიკს მ. დ. მასლოვს მიენიჭა ქვეყნის აქეთა და იქით მხარეებში ოქროს მადნის ძებნის უფლება.

□ ქვეყნის აქეთა და იქითა მხრის სამოქალაქო საეჭირო უწყება აცხადებს შემდეგს ქვეყნის ნამესტნიკისაგან დამტკიცებულ წესდებას, შესახებ პას-მუშის მადნის წყლებთან ადგილების ყიდვისა; მადნის წყლების ახლოს მხოლოდ სახლების ასაშენებლად გაიყიდება ადგილები, და მოშორებით აგარებისა. საგარო ადგილები გაიყიდება: წყლებს ზევით რთხ-კუთხი საყენი სამ შაურად და წყლებს ქვევით — აბაზათ. მაშულის ყიდვის მსურველმა საეჭირო სამოქალაქო გამგეობას უნდა მიმართოს, რომელსაც უნდა წარუდგინოს მამულის ნახევარი ფასი. ადგილების პატრონები ვალდებული არიან: შელობონ თავიანთი განსაზღვრული მიწა და ორი წლის განმავლობაში

უთუოთ აშენონ ზედ რამე შენობა, უამისოთ ნაყიდი მამული ჩამოერთმევა და მეორე პირს მიეცემა. უფრო დაწერილებითი პირობები ამ საგნის შესახებ მსურველს შეუძლიან გაზ. „ქვეყნის“ მე-76 ნომერში ნახოს.

□ მურიილამ გეწერენ, ორი კვირა მეტოაო, რაც თითქმის განუწყვეტლივ წვიმსო და თუ კიდევ რამდენსამე დღეს გასტანა ამისთანა ტაროსმა, ყველაფერს გააფუჭებსო.

იქილამევე მოგვიყვინა ამბავი, რომ წელს ყურძენი არ დაუნაცრავსო და კარგი ღვინის მოსავლის იმედი აქეთო.

□ ბორჯომიდანაც გეწერენ, რომ აქ ძალიან გახშირებული წვიმები არისო.

უამოჩილმასად ვსთხროვთ იმ ჩვენს ხელის-მოსაწარმებს. რუმელსაც უარსანდელი ანუ წლავანდელი გახეთის ფული ჯერ არ უამოუბანიათ, რაც უამილმა ბა მალე უამოიტანოს.

„დროების“ კორექსიონდენსია
ქახეთიდან, 20 ივნისს

შოველს ქვეყანაში, ყოველს ხალხში, განსაკუთრებით ქალაქში და სოფელში, არიან რამდენიმე მოწინავე პირნი, რომელთაც ხალხი, თუ არა საქმით, ფიქრით და სიტყვით მაინც ხშირად ბაძვენ.

ჩვენში სოფლებში ამისთანა პირებს უმეტეს ნაწილათ ეკუთვნიან მღვდლები.

მინ არ იცის, რა რიგათ უყურებენ გლეხები თავიანთ სოფლის მღვდლებს! ისინი იმათ შორის მაგირათ რაცხვენ, სულიერ მამებად, ღმერთსა და მათ შუა უშუამავალ კაცად. შოველივე მათი ნამოქმედევი საქმე არის სოფლისთვის მაგალითი.

ესთქვა, რომ ყოველს სოფელში არის ეკლესიის ნანგრევი; ბათუმის მახლობლათ ერთი დიდი ეკლესია დაუნგრევიათ ოსმალებს, ვითომც იმისთვის, რომ ამ საყდრის თლილი ქვები *) მასალათ მოუხმარიათ წყლის გაყვანის დროს ქალაქს ბათუმში; იქნება ეს ასე იყოს, მაგრამ უფრო ჰგონებენ იმისთვის დაარღვიესო ეს ეკლესია და სხვანიც ყველა სოფლებში, (საცა კი შეიძლეს დარღვევა), რომ მოესპოთ ნიშნები ქრისტიანობისა და ისტორიული.

ამავე აზრით ბევრს თურმე ჩამოართვეს საბუთები (ვითომც განსახილველათ და აღარ დაუბრუნეს,) რომლითაც ჰქონდათ მათ, ძველათ, ბოძებული ყმა და მამული საქართველოს მეფეებთან.

VI

ზემო აღნიშნული მაზრები და სოფლები სავსეა მცხოვრებლებით და იგინი რომ შევადაროთ ჩვენს ღვთაებებს, გამოვა უმეტეს მთი-

*) იმ ქვებზედ ზოგიერთებზე ქართულათ ზედწარწერილებიც ყოფილა.

ლისის და მუთათისს ღვთაებებისა, და რადგან თვითო ამ უკანასკნელ ღვთაებებთანგანში ირიცხება უმეტეს ხუთასი ათასი სულისა (ორივე სქესი,) მასმადამე მსმალეთის საქართველოში — გაბედვით ვიტყვი — უნდა იყოს უმეტეს ერთის მილიონის ქართველის ჯიშისა, რომელნიც დღეს ლაპარაკობენ ქართულათ, *) ჩ. ცხა და ჩეიულება აქეთ ქართული, მხოლოდ ოსმალურს ზესკას კი იხურვენ თავზე და წვიმაში ჩაბალახს ხმარობენ. მნა მათი არის წმინდა ძველებური ქართული და სანე მოგაგონებსთ საქართველოს მიწის შეილს.

ხალხია ფრიად ახოვანი, ღონიერი და გულადი. მდებარება ადგილისა — მთიანი, გარდა ზღვის პირისა, და ამისათვის ცუდ გზოვანი; ჰაერი კარგი.

ნაყოფი მრავალი, გარდა მაღალი მთებისა, სადაც მხოლოდ ქერი და ცერცვი მოდის და ამ უკანასკნელი-

*) მხოლოდ ოცი ათასი მოსახლე ლაზები კი ლაპარაკობენ მეგრულს.

ბი, ამისთანა რწმუნებისანი არიან გლეხები მღვდლებზე და აქედამ შეგვიძლიანთ წარმოიდგინოთ — რა გავლენა უნდა ჰქონდეს მღვდლის ყოველ მოქმედებას სოფლის ცხოვრებაზე და მცხოვრებლებზე.

ამ წინასიტყვაობის შემდეგ ერთი მიბრძანეთ: რა გავლენა უნდა ექნეს მღვდელს, რომელიც ქვემო აღწერილ საქმეს ჰსჩადის:

ბი, რაში მდგომარეობს ეს საქმე: სიღნაღის მაზრაში ერთს სოფელში ერთს თავადიშვილს სახლ-კარი დაეწევა. ცეცხლის შემდეგ ამ თავადიშვილის ცოლს ვერცხლის ხატები-ღვან გადამდნარი ვერცხლი შეუკრებია, გაუყიდა და ფულები (ორას მანეთამდისინ) იმ სოფლის ახლად ასაშენებელი ეკლესიისათვის გარდაუღვია. მაგრამ, რადგან როგორც მოგეხსენებათ, ჩვენებური თავადების ჯიბეშიდ ფული ვერ იმაგრებს თავს, დახჯარისა შეშინებია და თანაც ისარგებლებსო უფიქრია, და ეს ფულები გაუსესხებია.

პირველს მოვალეს დროზე გარღუხნია. შემდეგ ამ სოფლის მღვდელს უსესხნია.

მაგრამ ეს სულიერი მამა, როცა გადახდის ვადა მოვიდა, იმ ფულებზედ უარს ამბობს, ვითომ იმ საფუძვლით, რომ როდესაც ეს ფულები მასესხაო, მე ავთამყოფობის გამო (საოფლე მჭირდო,) ჰქუაზედ შემოლილი ვიყავო და ამ გეარად შემომატყუაო.

რამდენათ ეს საფუძველი დასაჯერებელია გაიგებთ, როდესაც გეტყვით, რომ იმ დღეს, როდესაც ფულები უსესხებია, ერთი ბავში მოუნათლავს და, როგორც ამბობენ, მგონი, ვილაცა გლეხისათვისაც ჯვარი დაუწერია, და შემდეგაც ყოველივე სამღვდელო წესი აუსრულებია.

რამდენათ ეს საფუძველი დასაჯერებელია გაიგებთ, როდესაც გეტყვით, რომ იმ დღეს, როდესაც ფულები უსესხებია, ერთი ბავში მოუნათლავს და, როგორც ამბობენ, მგონი, ვილაცა გლეხისათვისაც ჯვარი დაუწერია, და შემდეგაც ყოველივე სამღვდელო წესი აუსრულებია.

რამდენათ ეს საფუძველი დასაჯერებელია გაიგებთ, როდესაც გეტყვით, რომ იმ დღეს, როდესაც ფულები უსესხებია, ერთი ბავში მოუნათლავს და, როგორც ამბობენ, მგონი, ვილაცა გლეხისათვისაც ჯვარი დაუწერია, და შემდეგაც ყოველივე სამღვდელო წესი აუსრულებია.

საგან აკეთებენ ზოგიერთს ადგილს მჭედებს და იმასა სჭამენ.

მდინარენი არიან ჩქარნი, წმინდანი და სავსე თევზითა.

ამ წყლებზედ აშენებული თლილის ქვის ხიდები გააშტერებენ კაცს სიღლითა, სილამაზითა, სიმტკიცითა და მით უფრო, რომ უთაღონი არიან, ასე რომ შორიდან რკინის ხიდი ვგონება კაცსა.

VII

აქაურნი მცხოვრებნი, რომელსაც კი ჰქითხოთ, გეტყვიან სახელებს: თამარ-მეფისას და მრეკლესას; სხვა საქართველოს მეფეებისა კი აღარა ახსოვთ რა.

ზოგიერთა მათგანმა იციან ქართული წერა-კითხვა და დიდი სურვილი აქვს თ, რომ ამ ენის მასწავლებელი იყოლიონ თავიანთ შვილებისათვის; თხოულთბენ, მაგრამ ვერ უშოვნიათ, ვერც ოსტატი და ვერც წიგნები.

მითომ რა მამაკვდინებელი ცოდვა იქნება, რომ ეს თხოვნა და სურვილი შეუსრულოს ვინმე იმ ხალხსა, რომელსაც დიდი სიყვარული აქვს

თუ ეს მართალია, მაშინ ხომ შეშლილი მღვდლის ნათლულები ხელახლათ უნდა დაინათლონ? ხომ მისგან დამარხულები ხელახლად უნდა დაიმარხონ?

ამას გარდა ან ხალხმა და ან თვით ბლალჩინმა როგორ ვერ შეატყო, რომ ის იმ დროს სრულ ჰქუაზე არ იმყოფებოდა!

მართის სიტყვით, ყველა გარემოება ამტკიცებს, რომ ეს მღვდელი მხოლოდ ფულის გადახდის თავიდან ასაცდენად იგონებს ჰქუილამ შემოლილობას.

რა კარგი მაგალითია ჩვენებური ხალხისათვის ამისთანა სამღვდელო პირები განა?!

იმერელი — ქახეთში

რუსეთი

✕ რამდენსამე რუსის საუკეთესო ფროფესორებს სურვილი გამოუცხადებიათ, რომ სიმბირის უნივერსიტეტში, რომელიც მალე უნდა გაიხსნას, სიამოვნებით გადაეღო.

✕ როგორც ამბობენ, რუსის მმართველობას განზრახვა აქვს, რომ თითო ცხენის თევზე გადასახადი დაენიშნოს, და ამის გამო „მოსკოვის უწყებებში“ იწერებინან, რომ რუსეთის საზრეთ და საშუალ გუბერნიებში ამ მოკლე ხანში კამისიები გაგაიგზავნებო, რომელნიც ცხენების რიცხვზე სტატიტიკურ ცნობებს შეკრებენო.


✕ სახელმწიფო რჩევაში შეტანილის პროექტით, იმ გუბერნიებში, რომელშიაც ერობის წესი არ არის ჯერ შემოღებული, სასოფლო შკოლების განსნა გუბერნიის საგლეხო პრისუტტივებს ექნებათ მინდობილი. სოფლების ამორჩევა, სადაც

ქართველებისა და საცა ქართველის სახელს გაგონებს, ან ნახამს მას, უკიდურესს აღტ ცებას მიეცემა ხოლმე?

მართს ფაქტს მოგახსენებთ: შობულეთსა და აქარაში გადასულიყო ერთი რაჭველი მესტიერი; დიდი და პატარა, ქალი და კაცი ამ საზანდარს შამოჰხვეოდა; დიდის სიამოვნებით და აღტაცებით უგდებდნენ თურმე იმის სიმღერებს ყურს, აძლევდნენ საჩუქარს და საცა ლხინი და მეჯლიში იყო, ან მუშაობა წადით, მესტიერიც იქა ჰყვანდათ ხოლმე. ზაუტება საზანდარს იქ ურობა, შამოიარა თითქმის მთელი ის ქვეყნები და აღარ ისურვა დაბრუნება: იქვე მოკვდა.

ძველებურის სიმღერების, ლექსების, ისტორიის მასალების და სხვა ამ გეარების შემკრებლებს ურჩევთ გაისვირონ ოსმალეთის საქართველოში; იმათი შრომა უნაყოფო არ დარჩება.

მ. რაფიელ მრისთავი
თბილისის 12-ს



შკოლა უნდა გაიხსნას, უფლის სა-
მმართველოს საქმეა, რომელიც
შემოხსენებულ პრისუტსტივის მხო-
ლოთ აცნობებს ამას სამასწავლებ-
ლო მაზრისა და შკოლების ინსპე-
ქტორების შესატყობინებლად.

✠ ხარკოვში დაუწყეთ აშენე-
ბა იმ უმაღლესი ტენოლოგიურ
ინსტიტუტისა, რომლისთვისაც მომე-
ტებული ნაწილი ხარჯი თვითონ
ამ ქალაქმა შემოიტანა.

✠ ტურქისტანში საშინელი კა-
ლია გაჩენილა; ერთ ალაგანს ორმოც
ვერსზე მეტი მოუტყეობია ამ მე-
ნებელ ბუზანკალსა. იქაურ მაზრის
უფროსს 2,000 ცხენოსანი კაცი წა-
უყვანია, ჯერ ცხენებით ერთ ალა-
გას მოუგროვებიათ და მერე დაუ-
სრესიათ. მათი კვირის განმავლო-
ბაში უმუშავენიათ და ნახევარი ძლიერ
მოუტყავეთ. მაგრამ ახლა ჩხართი-
ჩიტი გაჩნდა, ამბობენ, და რაც
ცხენებს ვერ მოუტყავეთ, ისინი მო-
ათავეებენო.

✠ შვედურს კაცს ქვა აღმართში
მოეწიაო, ამბობენ. სწორეთ ასე და-
ემართა ქ. მარშანსკს: მთელი ქალა-
ქი გადიწვა; თითქო ეს არ ეყოფო-
და, ახლა უფხვში საშინელი პირუ-
ტყვის ჭირი გაჩენილა ასე, რომ დღე-
ში რამდენიმე ასი თავი საქონელი
იხრცებო.

უცხო ქვეყნები

საშრანგეთი. შუოთი, რომელიც
ამას წინათ მომხდარა ნ. ციონალურს
პრებაში ბამბეტას სიტყვის შემდეგ,
რომელხედც ბიჭუჭყის სამინისტროს
კინდამ არ დაუნებებია სამსახურის-
თვის თავი, მომხდარა იმ დროს, რომ-
დესაც ბონაპარტისტების შეთქმუ-
ლობაზე და იმათი კანდიდატის ბურ-
გონის უკანონო ამორჩევაზე ყო-
ფილა სჯა. ბამბეტას სასტიკათ გა-
უყიცხავეს ბიჭუჭყე იმისთვის, რომ
საქმარ ზედამხედველობა არა აქვს
ბონაპარტისტების მოქმედებაზე, რომ
მომეტებული ნაწილი პრეტექტების
(ლუბერნატორების) ადგლი ახლაც
იმათ უჭირავთო, იმათ ცუდი, გამრ-
ყენელი ზედ-მოქმედება აქეთ საფ-
რანგეთის ხალხზედაო და სხე. ბიჭუ-
ჭყეს უპასუხებია ამაზე, რომ სასტი-
კი ყურადღებისა და განკიცხვის ღირ-
სი მართო ბონაპარტისტები კი არა,
რესპუბლიკელების პარტიაც არისო.
და თუ მთელი მარცხენა პარტია მაგ
აზრის არის ახლანდელს სამინისტრო-
ზე, დაუნდობლობა გამოგვიცხადეთო.

ჩვენ ვიცით — რითაც გათავდა ამ
საგანზე ხვების მოკრება: 482 დეპუ-
ტატმა სამინისტროს ნდობა გამოუ-
ცხადა, მარცხენა მხარეს კი კენჭს
ყრაში მონაწილეობა არ მიუღია.

მსპანი. მართო მადრიდის აფი-
ციალურს გაზეთებში კი არ იწერე-
ბიან ახლა, რომ კარლისტების საქმე
ცუდათ არისო: ამასვე სწერენ ზოგი-
ერთ ფრანკოულ გაზეთებშიაც. რამ-
დენჯერმე დამარცხების შემდეგ, ღონ-
ქარლოსის უმთავრესი ჯარები საფ-

რანგეთის სამხლერისაკენ გაქცეულან
და დლითი-დღეზე იძულებული იქნე-
ბიანო, რომ ამ სამხლერზე გადავი-
დნენო. საფრანგეთის მმართველობას,
როგორც ამბობენ, ჯარები გაუგზა-
ვნია თავის სამხლერისაკენ, ვინაცო-
ბაა კარლისტები გადმოვიდნენ, თოფ-
იარაღი დაეპყრევიანო.

ოსმალეთი. მრთი ფრანკოული
გაზეთი, რომელიც სტამბოლში იბეჭ-
დება, აცხადებს, რომ რადგანაც ოს-
მალოს სახელმწიფო ფინანსები (ბიუ-
ჯეტი) ძლიან ცუდა მდგომარეობა-
ში არისო, ამის გამო მთავრობა, რაც
შეიძლება ცდილობსო, რომ უფრო
მომეტებული ხარჯი მოკრიბოს სა-
ხელმწიფოში და ცოტა გასაველი
ჰქონდესო. სხვათა შორის მთავარ-
ვეზირის მასად-ფაშას წინადადებით,
ოსმალოს მმართველობას გადაუწყ-
ვეტია, რომ ყველა დიდ ჩინოვიკებს
ჯამაგირი შეუმციროს. თვითონ მს-
სად-ფაშას უჩვენებია ამის მაგალითი:
დღემდ იმას 2,500 ვირვანქა სტერ-
ლინგი ჰქონია წელიწადში ჯამაგირი
და დღეის შემდეგ 600 — 1 ჯერდებო.

ქრონიკა

პიზონის ვინაობა და მისი მოქმედება

ამ კითხვის უფრო კარგად მოსა-
ზრებისა და ასახსნელად აწეროთ პი-
ზონის ბიოგრაფია შოპენის შემწეო-
ბით, რომელსაც იმაზე ცნობებდ ღიო-
ლორე სიკულიელისა, პრიენისა, ძვი-
ნერა-ტურისა, იუსტინისა და სხე.
ისტორიკოსებისაგან გამოუკრეფია, და
ამათ შეედაროთ „მართლის ცხო-
ვრების“ ნაამბობიცა, რომ შეეც-
ყოთ: ვინ იყენენ პიზონი და აზონი
როცა პლექსანდრე მოკვდა, პერ-
დიკა გახდა მთავარ-მთავარი: ამან
შეპყარა ყველა ჯარების წინამძღო-
ლები და აზონი დაპყრობილი ქვე-
ყნები გაიყვეს ერთმანერთში. ამ გა-
ნაწილების დროს მიღია ერგო პი-
ზონს. ამ მიღიას მიწა წყალში შეი-
რაცნობოდა აგრეთვე საქართველო-
ცა, ამბობს შოპენი. ამის თანამად
„მართლის ცხოვრებაც“ ამბობს, რომ
პლექსანდრეს დროდგან საქართვე-
ლოს ბატონად აზონი გახდაო; გარ-
ჩევა მხოლოდ იმაშია, რომ „მართლის
ცხოვრების“ სიტყვით აზონი საქარ-
თველოში მთავრად თვითონ პლექ-
სანდრე მაკედონელმა დასტოვა. მა-
გრამ ეს განსხევება პიზონის საქარ-
თველოში გამთავრების კვმარტივ-
ბას, მიტრიდატის სიკვდილის შემდეგ,
მინც ვერას აწენებს. პლექსანდრეს
სიკვდილის შემდეგ ქართველები და
საქართველოს ჩრდილოეთ ნაწილებ-
ში დასახლებული ბერძნები აჯანყ-
დნენ, მაშინ პერდიკამ პიზონს მისცა
ჯარები და უბრძანა იმათი დამშვი-
დება. რადგან პიზონი გამბედავი და
უშიშარი კაცი იყო, ამისათვის სინა-
რულით მიიღო ბრძანება. მაგრამ გა-
ნიზრანა ისრე მეგობრულად მოპყრო-
ბა, რომ არაფერი ენებოდათ იმათ
მისგან. ასრე ტყბილად მოპყრობის

მიზანი ის იყო, რომ იმას შემდეგში
ამ ბერძნების შემწეობით გამეფე-
ბა სურდა საქართველოში. მაგრამ პერ-
დიკამ შეუტყო იმას ეს განზრახვა და
მისცა ბრძანება, რომ ყველანი შეუ-
ბრალეზლად დახოცეთ და შემდეგ
იმათი სარჩო გაიყავითო. თუმცა ასე
იყო ბრძანება, მაგრამ პიზონმა მინც
შეუთვალა აჯანყებულებს, რომ ო-
ლონდ კი დამმორჩილდით და მე არას
გერჩითო. ამ სახით დაიმედებულნი
ბერძნები მოვიდნენ პიზონის ჯარის
ბანაკში, სადაც მაკედონელებმა პი-
ზონს აღარ გაუგონეს და პერდიკას
ბრძანებისამებრ დაესხნენ თავს, ყველა-
ნი ამოწყვეტეს და ამ სახით დაიმორ-
ჩილეს ის სასატრაპოები, რომელნიც
საქართველოს ჩრდილოეთ ნაწილში
იყენენ, ესე იგი ოსეთის მხარეს.

თუმცა აჯანყებულებად მართო ბერ-
ძნები არიან დასახლებულნი ზემო-
მონხენებულ ისტორიკოსებისაგან, მა-
გრამ თქმა არ უნდა, რომ ამათში
მონაწილეობა მიიღეს თვით ქართვე-
ლებმაც. საქართველოთ ბერძნებს
არ ფრის გაკეთება არ შეეძლოთ, ამი-
სათვის რომ აქაურს მჭიდრო მცხო-
ვრებლებს ქართველობა შეადგენდა,
და არა ბერძნები, და აბა უმათოდ
კალონიებს რის გაკეთება შეეძლოთ.

მაშასადამე პიზონმა პერდიკის ბრ-
ძანებით მართო ბერძნები არ დახო-
ცა, არამედ დახოცა ქართველებიცა.
მა ბერძნები იყენენ საქართველე-
ბულნი ვაჭარნი და ძველის ძველად-
განვე აქაურნი მოსახლენი. ამათ აი-
ყოლიეს ახლად შემოსულნი ბერძენ-
ნიც და აჯანყდნენ, მაგრამ პიზონმა
ისინი უწყალოდ დახოცა, ამისათვის
რომ პერდიკას ასრე ჰსურდა.

ამ ჰაზრს „მართლის ცხოვრება“
არამც თუ ეწინააღმდეგება, არამედ
უფრო ერცლად და რიგიანად ახსნის
და ამტკიცებს. პი რას ამბობს ის 27-ს
კაბადონზე: „ხოლო ამან აზონმან მოარ-
ღივნა ზღუდენი ქალაქისა მცხეთას, საფუძ-
ველითურთ, და დაუტენა ოთხნი იგი ციხე-
ნი, რომელნი მოსდგმიდეს პირსა მართლი-
სასა, თავი ციხე, რომელ არს არმაზი, და
ერთი ციხე დასასრულსა არმაზის ციხისა-
სა, და ერთი თავსა ზედა მცხეთისასა; მეოთ-
ხე ციხე, დასავლით, მცხეთა მტკვრისა ზე-
და, და ესენი, მომტკიცნა და განაყსნა იგი-
ნი ლაშქრითა, და ყოველთა მართლის ქა-
ლაქთა მოარღივნა ზღუდენი, და დაიპყრნა
ყოველნი სამხლერანი მართლისანი, ბერდუ-
ჯის მთიდგან, ვიდრე ზღვამდე სპერისა; და-
იპყრნა მართლსა ზედა მერისიცა და მოხარ-
ეჲ ჰყენა ოვნი, ლეკნი და ხაზარნი“.

ამ სახით პიზონმა დაიმორჩილა
მთელი აღმოსავლეთის საქართველო
და პერდიკას ბრძანებით ამოწყვეტა
ყველა უცხო ნათესავი ქართველებ-
ში აღრეულნი და დასტოვა მხოლოდ
ნათესავნი ქართლოსიანნი, როგორც
ამბობს „მართლის ცხოვრება 27-ს კა-
ბადონზედ. მაგრამ როცა პერდიკა
მოკვდა, იმან დასტოვა საქართველო
და მიღია და გადვიდა სირიის მეფის
ანტიპატერის მხარეს და დაიჭირა პერ-
დიკის თანამდებობა, რომელიც მე-
ფეების ოჯახზე მზრუნველობაში
მდგომარეობდა. მაგრამ მალე უარი
ჰყო ეს თანამდებობა და ყველა ამ

დროს ისტორიკოს ასპარეზებულნი
დი პირების თანხმობით ისეე მიიღო
თავისი ხეველი მიწა-წყალი მიღია და
საქართველო. მოვიდა თუ არა პი-
ზონი მიღიაში, მაშინვე მოაკვლევინა
საქართველოს ჩრდილოეთის ნაწილის
სატრაპი და მის მაგიერ დააყენა თა-
ვისი ძმა მედამი. ამ საქმეს ის ამბა-
ვი შეუდგა, რომ საქართველოს სხვა
სატრაპები შეიყარნენ ერთად და აუ-
ჯანყდნენ პიზონს. მინ იყენენ აჯან-
ყებულები, თუ არა მუჯი და შარ-
ნავაზი, რომელნიც მართლაც აუჯან-
ყდნენ აზონს და კიდევაც დაამარ-
ცხეს, როგორც ამბობს „მართ. ცხო-
ვრება“ ამის შემდეგ პიზონი გაიქცა
მიდიდგან ბაბილონში სელევკთან და
სთხოვა მფარველობა. ამათ აქ მიემ-
ხროთ აგრეთვე ანტიგონიცა. მაშინ
პიზონი დაბრუნდა ისეე მიღიაში და
საქართველოში, შეკრბა ორი ათასი
ცხენოსანი ჯარი, 1000 ცხენი თავის
შეკავშულობით, 687,500 მან. ფუ-
ლი და მივიდა მოკავშირეებთან. ესე
იგი ანტიპატერსა და ანტიგონთან
საქართველოს წინააღმდეგ საომრად.
ამას ვეამბობს 30 კაბ. „მართ. ცხო-
ვრებაც, მაგრამ არევით და სხვანა-
ირად.

ამათი მოწინააღმდეგენი გახდნენ
მემენი, მიტრიდატი იბერიელი და ძე-
კასიის სხვა სატრაპები. ასტყდა ძლიე-
რი ომი. ღიღს ხანს იომეს. ბოლოს
მიტრიდატი და მემენი ლალატობით
დამარცხდნენ და დაიხოცნენ.

ინგილო ჯანაშვილი

ნარკვი

ამას წინათ ჩვენს გაზეთში იყო დაბეჭ-
დილი, რომ ბონაპარტისტმა შრენი-დე-
ქასანაკმა ბამბეტა გამოითხოვა დუელში;
მაგრამ ამან უარი შეუთვალა. მეორე დღეს
ბამბეტასთან 750 კაცი მისულა, მომეტე-
ბული ნაწილი ფრანკოულები, დანარჩენი
იტალიელები, ინგლისელები და რუსები,
და, თავისთანაგონობას გარდა, გამოუცხადე-
ბით იმისთვის, რომ ჩვენ ყველანი მზათა
ვართ თითო-თითომ გავიდეთ თქვენ მოწინა-
აღმდეგესთან დუელშიო. მაგრამ ბამბეტას
მადლობა უთქვამს იმათთვის ამგარი თანა-
გრძობისათვის და დუელში გასვლა კი და-
უშლია.

მრთს შეკრებილებაში, ლონდონს, რომ
მელზედაც თავს-მგდომარედ ინგლისის ახ-
ლანდელი სამინისტროს პირველი მინისტრი —
ღიზრალეი კოფილა, გადაუწყვეტიათ, რომ
გამოჩენილს პოეტს ბაირონს ძველი აუგოთო.

ინგლისურს გაზეთებში იწერებიან, რომ
ერთი ამერიკელი ნიუ იორკიდან (ამერი-
კიდან) ინგლისში შარით გადმოფრენას აპი-
რებო. ნიზლავი თურმე, რომ თუ ორი დღის
განმავლობაში გადმოფრინდა, მაშინ 48,000
მანეთს მიიღებს და თუ მომეტებული დრო
მოაწდობა, მაშინ ამ ფულის ნახევარს.

მრთს ნემცეს ხარების გაგზავნა უნდოდა
თურმე რკინის გზითა, მაგრამ, რადგან იმ
დღეს სტანციებზე საქონლის წამყვანი ვაგო-
ნები არ იყო, ხარების პატრონს მისწერა
სოფელში შემდეგი დეჲმა: „ღღეს რკი-
ნის გზაზე ხარებს არ იღებენ, ამის გა-
მო საღამოს დავბრუნდები“.

საბერძნეთის კუნძულის ქანდოს დასამ-
შეიღებულად, მსაბლოს მთავრობამ 1868
წელს თითქმის სრული თავისუფლება და
საკუთარი პარლამენტი მიანიჭა აქაურს მცხო-
ვრებლებს. ქანდოს პარლამენტში ბერძენები
ცალკე ირჩევენ თავიანთ დეპუტატებსა და
თათრები ცალკე. ახლა მთავრობას ადგი-
ლობრივი ურთიერთობისა და მიუნიციპალიტეტის
წარმომადგენლის გაგზავნის უფლება. მაგ-
რამ მისულა თუ არა პარლამენტში ეს ური-
ების დეპუტატი, დანარჩენი წევრები — ბერ-
ძენი და თათრები იმ წამსვე გამოსულან
იქიდან და გამოუტყდადებით, რომ ურისთან
ჩვენ არ დავჯდებით.

* *

პარაგუი იქნება ამ მოკლე ხანში გამო-
ფენა ყველა იმ საგნებისა, რომელსაც პარა-
გუი ფრენის დროს ხმარობენ. ამ გამოფენის
დროს, გამოჩენილი საფრანგეთის ავონანუტი-
ზოდარის — წინადადებით იქნება აგრეთვე
ლოდი, რომელსაც რამდენიმე პირი შეე-
ჯიბრებიან ერთმანეთს — თუ ვინ უფრო
შორს გაფრინდება პარაგუი შარით (ავროს
ტატით) და ვინ უფრო დიდხანს იფრინოს.

საკვარძო

△ ქაქასის სამხედრო მარხის ინჟე-
ნერის სამართველო გამოიხმობს მსურველთა,
რათა იკისრონ იჯარით ალბა შემდეგი მუ-
შაობისა: ყაზარმებად და ციხაუზად უნდა
გადაკეთდეს სტავროპოლისი: 1) ორ ეტყია-
ნი ლაშქარის — 5,929 მანეთად; 2) ორი
მალაზია აფთიქის საგნების დასაწყობად 24,
168 მანეთისა და 66 კაპეია მუშაობა; 3) აქვე უნდა
აშენდეს ორი ქვიტარის სამ-
ზარეულო ფურნითა და სალაროთი — 10,012
მანეთად და 4) ამ შენობებს ქვიტარის კე-
დელი უნდა შემოეკეთდეს — 1,030 მანეთად.
3) კრობა დანიშნულია თფილისში ინჟე-
ნერის სამართველოში ივლისის (მკა-
თათვის) 30-ს 1875 წელს.

△ ქაქასის სამხედრო მარხის ინჟე-
ნერის სამართველო გამოიხმობს მსურველთა,
რათა იკისრონ, იჯარით, 1 ქაქასის მ. ი.
შ. მიხაილ ნიკოლოზის ძის ბატალიონის-
თვის აშენება: საჯინიბოსი, ლაბორატორიისა,
წმლის საარდვისა და სახელოსნო მალაზი-
ებისა, — სულ 17,872 მანეთისა და 27 კპ.
მაკრობა დანიშნულია თფილისში ივლი-
სის 26-ს 1875 წ.

△ იგივე ინჟინერის სამართველო გა-
მოიხმობს მსურველებს, რათა იკისრონ იჯა-
რით ალბა შემდეგი მუშაობისა: 1) მე-15
თფილისის გრენადერის ბატალიონისათვის
ყაზარმის აშენება, 2) საპრობილის აშენება

უნტერ აფიცრის ყარაულისთვის და 3) №
227 ფლოგილის შკეკება, სულ — 91,398
მანეთის სკემა.

3) კრობა დანიშნულია ქ. თფილისში,
ინჟინერის სამართველოში, ივლისი (მკა-
თათვის) 31-ს 1875 წელს.

△ იგივე ინჟინერის სამართველო გა-
მოიწვევა მსურველებს, რათა იკისრონ, იჯა-
რით არტილერიის ცხენებისათვის საჯინი-
ბოს აშენება. ამ სკემისათვის — 8,583 მანე-
თია დანიშნულია.

მაკრობა იქნება თფილისში ამ თვის 18 ს.

△ იგივე ინჟინერის სამართველო აც-
ხადებს, რომ ამ თვის 29 იქნება ვაჭრობა
იჯარით ალბაზე, რომ თფილისში მე-16
სამიგრელოს პოლიცისათვის სამართველო
გაადიდონ და ამას გარდა ფურნე ააშენონ.
5,681 მანეთია ამისათვის დანიშნული.

განცხადებანი

წმ. სახარება

და წიგნები ახალისა და ძვე-
ლისა აღთქმისა

სხვა და სხვა ენებზედ

ბრიტანიის ბიბლიის საზოგადოების
ავანტი ი. ი. უატი

თფილისში — მიხაილოვის ხიდ-
ზე, მირზოევის სახლებში

მდესას — სობორის პირ-და-პირ
ხარკოვს — ტარასენკოს სახლში,
ლოკანსკის ხიდთან.

ისქიდება: წმ. სახარება რუსულს
ენაზე — — — 12—25 კპ.

ახალი აღთქმა — — — 25 —
— — — სლავიანურს

ენაზე — — — 35—40 —
შსალმური რუსულს ენაზე 20,
25 და 75 —

სახარებანი სხვა ენებზე 15 კპ.
და მეტიც.

ყველა წიგნები მშვენიერად არის
დაკაზმული.

წიგნების მალაზიებს, სასწილე-
ლებსა და წიგნების დამტარებლებს
უფრო იაფ ფასად აძლევს.

უფ. ივანოვის ბიბლიოთეკაში ის-
ქიდება მიორე გამოცემა

მართულ-ფრანსუზულ ლექსიკო-
ნისა, რომელიც შედგენილია იე-
როტნიანცისაგან. უსნი ერთი აბა-
ზი.

უფ. ივანოვის ბიბლიოთეკაში ის-
ქიდება მიორე გამოცემა

მართულ-ფრანსუზულ ლექსიკო-
ნისა, რომელიც შედგენილია იე-
როტნიანცისაგან. უსნი ერთი აბა-
ზი.



ისქიდება

პირველი კარი ყარაგანიანისა,

სპარსულიდან ნათარგმნი ქართულს ენაზედ სახლოთხუცის და სარ-
ლოის თავადი დავით მრგაბლიანიანისაგან. სამოთ სასმენელი.
ზოგიერთი სურათებით ყარაგანიანისა, გარდანქეშა-
ნიანისა და სხვ.

გამოსამუშავლი დავით ლაზარაგანიანისაგან და ნიკოლოზ
კობალაძისაგან.

უსანი „პირველი კარისა“ ექვსი შაური (30 კპ.)
ისქიდება თფილისს მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, მწფი-
ჯიანცის წიგნის მალაზიაში და ივანოვის ბიბლიოთეკაში და სხვაგან.

იბეჭდება და აგვისტოს თვის 1-ს გამოვა „მეორე კარი
ყარაგანიანისა.“

მასწავლებელი, რომელიც რამ-
დენიმე წელიწადი ასწავლის რუ-
სულს ენას, აიყვანს მოსამზადებლად,
ძლიერ იაფ ფასათ. გიმნაზიის მოს-
კლასადმი გასავლელ რუსულ
ენაში და სხვა საზნაუროდაც იმ
ყაწვილებს, რომლებიც გიმნაზიაში,
ან სხვა სასწავლებლებში არიან და
ვაკაციების დროს მომზადება ეჭი-
რებათ, ან ეხლა სურთ მიიღონ სას-
წავლებლობა.

აღმსი იკითხეთ: თფილისში,
„დროების“ რედაქციაში, ქორალანო-
ვის სახლებში, მოლნინის მოედან-
ზე.

დაიბეჭდა და ისქიდება
თამარ სამართველოს
გაბოლენისშილი

ისტორიული რომანი
გ. რჩეულთისა.

თფილისში: მელიქიშვილის და
მს. სტამბაში და მწფაჯიანცის
წიგნის მალაზიაში.

უსანი ყველგან ექვსი შაური.

„დროების“ უმჩბა

— გ — ს, თ. კ — ს. თქვენი კორ-
რესპონდენტები ზოგი დაიბეჭდა და ზოგი
ამ მოკლე ხანში დაიბეჭდება. ნუ აჩქარდე-
ბით... თქვენს „წერილს რედაქტორთან“
საზოგადო ინტერესი არა აქვს და ამიტომ
არ იბეჭდება.

— ხ — ს, ი. ხ — ს. თქვენი სტატია,
შესახებ რკინის გზის გამგეობისა, რედაქ-
ციისაგან დამოუკიდებელის მიზეზის გამო,
ვერ დაიბეჭდა.

— ბ — ს, ბ — ელ ს — ოს. სუსტი კორა-
რესპონდენცია თქვენი კორრესპონდენცია დ-
ერთობ წერომალ საგანზე. როგორ იქნება
ასე აშკარად თავის თავის ქება... მოითმი-
ნეთ, იქნება სხვებმა დაფასოს თქვენი ღირ-
სება...

— კ — ს, ვ. უ — ლს. თქვენგან გა-
მოგზავნილი „მედიკური ამბავი“ იქნება
ისტორიულ საფუძველზე და მყარებული, მა-
გრამ ერთობ ცინიკური და ზნეობის შემა-
ძრწუნებელი შემთხვევა აწერილი და ჩვენც
რომ გვიწოდებდნენ, მაინც ვერ დაიბეჭდება.

— მ — ს, მ. ლ — ეს. თქვენგან გა-
მოგზავნილი ფული მივიღეთ.

რკ. გზა.	დილა.	სალაპ.	II კ.	III კ.	ცეცხლის გეგები	ფოშბა	ბირჟა	მან. კაპ	გაზანდა	მან. კაპ
თფილისი	8 18	8 17			ა) ფოთილამ:	ა) თფილისი დამ:	პეტერბურგი, 13 ივლისს.		თფილისი, 17 ივლისს	
მცხეთა	9 18	10	68	38	მდესისკენ — ორშაბ. დილისგანათ.	სამზღვარ გარეთ, მუთაისს, რუსეთს	ერთი მანეთი ღირს:		პური შორაგალის ფთ.	1 10
ბორი	11 39	1 43	2 40	1 23	სტამბოლს — კვირაობით დილას.	— ყოველ დღე კვირას გარდა. ზღუდ.	ლონდონში 3 3 1/8 პენსი.		მერი ფუთი.	60
სურამი	1 52	4 30	3 92	2 18	ბ) სოხუმილამ:	ოთხშ., მსურვეთს — პარასკ და	პარიში 3 15 3/4 სანტიმი.		ბაბა მრევისა, ფუთი	4 30
ბეჭათუბანი	3 45		4 42	2 46	ფოთს — სამშაბ.ის, დამით.	ორშაბ. ბაქს — ორშ. სამშაფ. და	მსკონტი (სარგებლისფასი)		— ამერიკისა, ფუთი.	6 —
შვირილა	6 49		5 81	3 23	მღვას — კვირას, გათენებისას.	შაბ. ქაბეთს — სამშ. და შაბ.	ბანკის ბილეთი 5%		ბაპინტილი ბაბა ფთ.	8 —
მუთაისი	7 55		6 75	3 75	ფოთილამ: I II III	თფილისისა და ფოთისაკენ — ყო-	მოგებიანი (პირველისესხი)		მატული თუშური ფთ.	7 —
სამტრედია	9 2		7 73	4 29	სოხუმილამი . 4 3 1	ველ დღე, კვირას გარდა. მსურ-	მოგებიანი (მეორე სესხი)		— თარაქაბისა ფთ.	3 80
ახ.-სენაკი	10		8 57	4 76	მერჩამდი . 20 50 15 50 5	ვეთს — ორშ. და პარასკ. ზღუდის	გარაოს ფურცლები:		პბრეშუმი ნუხური გრ.	2 60
ფოთი	11		9 75	5 42	ტაგანროგ. 34 27 8 60	— ოთხშაბ.	თფილ. სააზნ. ბანკისა.		ქაბი, ფუთი.	4 —
					მდესსამდი. 38 30 9 60		ხესონის ბანკის (5 1/2)		ქანის სანთელი ფუთი.	5 60
							მოსკოვის (5%).		სტეარინის სანთელი, ფ.	10 40
									ხორცი ძროხისა, ლიტ.	65
									— ცხვისა, ლიტრა.	75
									სპირტი, ვედრო.	7 —
									შაქარი, კარგი ფუთი	8 20
									— ფხვნილი ფუთი	6 80
									შავა გრგვლი ფუთი	19 —
									ხუთი ქუნჯუთისა ფთ.	6 60
									მქორ 1/2 იმპერიალი.	5 91